**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 108 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 108

**ფასის ნაწილ-ნაწილ შემოტანის ვადა**
1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს დროს—
2. ხელის მოწერის დროს 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან.

**პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია" ჰღირს 7 მან. 25 კ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. 50 კ. და ქალაქ გარედ 4 მან. 50 კ.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენი 1 მაისამდე, რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

---

## ქართული თეატრი

კვირას, 9 მაისს

ქართული თეატრის არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:

# დიდი მოურავი

ტრაგედია 5 მოქმ. და 16 სურათად ანტ. ფურცელაძისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქქ-ნი დავითაშვილისა, ჯავახოვისა, რონელი, აფხაზიშვილისა, ქართველიშვილისა და სხვ. ბბ-ნი ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, აქრაძე, სარჯველაძე, მატარაძე, მჭედლიშვილი, გვარაძე, ბარველი, იმნაძე, ორდანიშვილი, ლორთქიფანიძე, ჩიქავაძე და სხვ.

ახლად შემდგარი ქართველ მომღერალთა გუნდი **მ. კავსაძის** ლოტბარობით შეასრულებს რამდენიმე სიმღერას.

**ადგილების ფასი დაკლებულია.** ✱ დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

გამგე მაქრო საფაროვი. (3—6—3).

---

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი"-ს

# საზაფხულო სამყოფი

**ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა**

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთაადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე,

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საეროთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:** 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოოზ ზაის ქ. № 46.

(15—9)

---

# ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ჰვტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი.**

კვირას, 9 მაისს, 1904 წ.

ადგილობრივ რუსულ და ქართულ გაზეთების, მძიმე ავადმყოფ თანამშრომლის **დ. ი. კეზელის** სასარგებლოდ.

ათი პროცენტი მთელის შემოსავლისა გადაიდება შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ, არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარულთაგან ქართველ მსახიობთა დახმარებით ს. ს. რასტოვსკის რეჟისორობით

წარმოდგენილი იქნება:

I

## პრეჟინსკის კორწილი

რუსულად კომ. 3 მოქმედ. სუხოვო-კობილინისა.

II

მომრიგებელ მოსამართლესთან

სცენა ერთ მოქმედებად დ. ი. კეზელისა. რასპლუევის როლს შეასრულებს **ს. ს. რასატოვი.**

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი მ. რ. გალლი, ვ. ვ. ფონ-შულმანი, გაბუნიაცაგარლისა, ბ-ნნი ს. ს. რასატოვი, ვ. აბაშიძე, კობიაკოვი, ფ. ვ. ბიჩკოვი, ნ. ნ. მაკაროვი, ი. დ. ამალინი, დ. ვ. ეფიმოვი, ი. პ. წერეთლინოვი, ა. ა. ვიშნიაკოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთების ყიდვა შეიძლება „Тифлисскій Листокъ"-ის რედაქციაში დილის 8 საათიდგან, ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 7 საათიდგან 9 საათამდე, წარმოდგენის დღეს კასაში.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ.

დაწვრილებით პროგრამაში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

და

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ად დებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

---

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[r] გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

# ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ზ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზუბარბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელი** საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ.

**მრ. მ. სოგოლევსკი**—

ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

უცხოელის აზრი რუსის ჯარის შესახებ მანჯურიაში.—იაპონელების ახალი ნაღმოსნები.—წვრილი ცნობები.

გაზეთ «მორ. პოსტის» სამხედრო მიმომხილველი სწერს: რუსეთის ჯარი ამ ჟამად დაბანაკებულია მუკდენსა და ლიაოიანს შუა. მოწინავე რაზმები-კი გაგზავნილია იალუს მხარეს. გენერალ-კუროპატკინს, როგორც მის დეპეშებიდგანა სჩანს, ჯერ საკმარისი ჯარი არა ჰყოლია, რომ იაპონელებს გაუმკლავდეს, და განზრახვა აქვს ხარბინისკენ დაიწიოს.

ხოლო რამდენად შესაძლებელია ამ განზრახვის შესრულება?

ჯარმა უნდა გაიაროს 600 კილომეტრი. ლიაოიანსა და მუკდენს უნდა იყოს 75,900 ჯარის კაცი. მათი გაგზავნა ხარბინისკენ ჯერ შეუძლებელია, ვიდრე წვრილი რაზმები სხვა-და-სხვა ადგილიდგან არ დაბრუნდებიან. გენერალი კუროპატკინი რკინის გზით ვერ დააბრუნებს თავის ჯარს. დღეში რომ, სულ მეტი-მეტი, 12 მატარებელი გაგზავნოს, მაშინ ჯარის გადაყვანას სამი-ოთხი კვირა მოუნდება. ამასობაში შესაძლოა კუროკისა ან სხვა სარდლის ჯარები გაჩნდნენ ლიაოიანთან, იქ დარჩენილ რუსთა ჯარის ნაწილს დაეცნენ და დიდად დააზიანონ. მაშასადამე, ჯარს მხოლოდ ქვეითად შეუძლიან დაბრუნება, მაგრამ 600 კილომეტრის გავლა ძალიან გასაჭირია. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხედრო მასალაც უნდა თან წაიღონ, რომელიც მრავლად არის დამზადებული მუკდენსა და ლიაოიანში.

შეიძლება გენერალი-კუროპატკინი იქვე დარჩეს, სადაც ეხლა მისი ჯარია?

75,000 ჯარის კაცს დიდძალი სანოვაგე უნდა. სადაც ამოდონა ჯარი დაბანაკდება, რაც იქ ახლო-მახლო სანოვაგე იშოვება, ერთსა და ორს კვირაში სულ გაწყდება. თუ რომ ჯარი გაფანტულია, საომრად დამზადებული არ არის და, თუ ერთს ადგილს თავმოყრილია, სანოვაგეს ადგილობრივ ვერ იშოვნის. რუსის ჯარი-კი მუკდენთან რამდენიმე თვეა დაბანაკებული და სულ გააწყობდა სანოვაგეს, არამც თუ ახლო-მახლო, არამედ მოშორებულ ოლქებშიც. მაშასადამე, ჯარს სანოვაგე რკინის გზით — უნდა ეგზავნებოდეს და, როდესაც რკინის გზა ამ საქმეს ასრულებს, ჯარის გადაყვან-გადმოყვანას ვეღარ აუვა. მუკდენს ზემოდ რკინის გზა რომ აქა-იქ გაფუჭდეს, სანოვაგეს მიწოდება ჯარისათვის მეტად გაძნელდება და, თუ ჯარს ჩრდილოეთისკენ დაწევა მოუხდა, მაშინ ისე მალე ვერ ივლის, რომ იაპონიის მოწინავე ჯარი არ დაეწიოს (ვ. ვ.).

ეტ- კვილიდან და წაბრ- სადაც გადა- ტაძრიდან მისი მაცხოვრის პეტრე I ის ბული, ხოლო იქი- ამელიც იქ არას აგე-

ტით — ილტაცებით «უ-ძახეს. მუსიკა „ურრო ჰიმნს უკრავდა. საიმპერატორო მატარებელი ორიოლის სადგურზედ გაჩერდა, სადაც ხელმწიფე იმპერატორს მიეგებნენ გუბერნატორი და წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, ერობისა და ქალაქისა. მიიღო რა პურმარილი და დეპუტაციები, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე, დიდ მთავრებითურთ ჩერნიგოვის პოლკის ეკ-

ამასთანავე აცნობა იაპონიის მთავრობას, რომ არმსტრონგის და [illegible] ხნებში შეკვეთილი [illegible], მაღეც რომ დამზად[illegible] გათავებამდე ინგლის[illegible] დარჩეს. ამ ექვსის კვირის წინად ინგლისში გაკეთებული ახალი ექვსი ნაღმოსანი უკვე მიაქვთ იაპონელებს. კიდევ დამზადებული იყო თურმე 16 ნაღმოსანი, მაგრამ, რაკი ინგლისის მთავრობას წაღების ნება არ მიუცია, იაპონელებს დაუშლიათ და ნაწილ ნაწილ წაუღიათ. (ნოვ. ვრ.).

—

ბერლინის სამხედრო კაცები იმ აზრს ადგანან, რომ იაპონელები თავის ჯარს ლიაოიანსა და მუკდენს დაძრავენ. პორტ-არტურთან კი ცოტაოდენ ჯარს დასტოვებენ, რადგან ამ ციხეს ხმელეთის ომში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პორტ-არტურიდგან რომ მეციხოვნენი არ გამოვიდნენ, საკმარისია კინჯოუსთან მცირე რაზმი მოუყენონ და აქეთ-იქითგან ხომ ვიწრო ყელს სამხედრო გემებიც უდარაჯებენო. (რუს. ვედ.).

—

«ბერლ. ცეიტ»-ი იუწყება, ვითომც გერმანიის მემკვიდრე პრინცი ალბერტი, პეკინს რომ მოიმგზავრებს, იაპონიასაც ეწვევა და იაპონიის მიკადოს გადასცემს გერმანიის იმპერატორის საკუთარი ხელით ნაწერს მოკითხვას. (რ. ვ.).

—

მდინარე ლიაოხეზე რუსებმა რამდენიმე ჩინელების ნავი შეიპყრეს, რომლებითაც თოფი იარაღი და 30 მომცრო ძველის სისტემის ზარბანი ყოფილა. (იქვე).

—

ნაგასაკიდან იუწყებიან, კიულენ[illegible]ენთან დატყვევებული 45[illegible] რუსის ჯარის კაცი მოჯიზე გაატარეს და მათგან 291 კაცი მატსუმაოს მიჰყავთო.

ტოკიოდგანაც იუწყებიან, 450 დატყვევებული რუსი და მათ შორის 16 ოფიცერი მატსუმაოს მოიყვანეს. ტყვეები კმაყოფილნი არიან იაპონელების თავაზიანობითა და მოვლით. (მოს. ვედ.).

# ტფილისი

—

*** ხვალ, 9 მაისს, იქმნება ჩვეულებრივი საზოგადო კრება ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა, კრება შუადღის 12 საათზედ დაიწყება, განსახილველი საგნებია: საზოგადოების მოქმედების წარსულის წლის ანგარიში და შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წ. ამავ კრებაზედ არჩეულ იქმნებიან საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

*** 25 მაისს კრება ექნება ტფილისის სიფხიზლის საზოგადოებას. კრებამ ანგარიში უნდა განიხილოს და აირჩიოს კომიტეტის წევრნი.

*** დღეიდან შეუდგებიან განხილვას იმ ახალ-გაზრდა კაცთა სიისას, რომელნიც წელს გაწვეულნი იქნებიან სამხედრო ბეგრის გადასახდელად.

*** კავკასიის უმაღლესს მთავრობას წარედგინეს დასამტკიცებლად სუხუმში განზრახულ დრამატიულ-მუსიკალურ საზოგადოების წესდების პროექტი.

*** ხუთშაბათს, 13 მაისს, სახაზინო თეატრში გამართულ იქმნება დრამატიულ-მუსიკალური საღამო, რომლის მთელი შემოსავალიც გადაიდება ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** დღეს, 8 მაისს, კრება ექმნება იმ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დებულების პროექტი.

*** ერთი კვირაა, ტფილისში მუხრანიანთ ბორანი არ მუშაობს, რადგან მტკვარი დიდი მოდის.

*** მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის საბჭოს ერთ ხმოსანს აირჩევენ ნაცვლად პ. ი. კოჯინისა, რომელმაც ამ თანამდებობას თავი გაანება სხვა ქალაქში გადასვლის გამო. კანდიდატებად ამ თანამდებობაზე ითვლებიან ბ-ნი ხრამელაშვილი, ინჟ. ბეჟანოვი და ნაფიცი ვექილი ამირხანოვი.

*** ნაძალადევის სახალხო ბიბლიოთეკის ზედამხედველმა მ. ი. დემურიამ ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა, ხსენებულს ბიბლიოთეკას, როგორც წარსულს წელს, ახლაც შემწეობა აღმოუ[illegible]ეთ ფულითაო.

*** როგორც ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების ანგარიშიდგან სჩანს, საზოგადოებას წარსულს წელს ჰყოლია წევრი ერთი საპატიო, 28 თანამგრძნობი და 108 ნამდვილი. 1904 წლის პირველი იანვრისთვის სულ საზოგადოებას 5,411 მან. 72 კაპეიკი ჰქონია.

*** კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოება ამ ზაფხულს რამდენსამე კაცს ჰგზავნის ამიერ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილების გამოსაკვლევად ეტნოგრაფიულად და გეოგრაფიულად.

*** დღეს, 8 მაისს, ქუთაისში სამხედრო სასამართლო დაიწყებს საქმეების გარჩევას.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრების დანიშვნას, როგორც გავიგეთ, საზოგადოების გამგეობა მაისის შუა რიცხვებში აპირებს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «იერარქია საქართველოს ეკკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი», შედგენილი მღვდლის პოლიევკტო კარბელაშვილის მიერ, გამოცემა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა. წიგნი 212 გვერდს შეიცავს და ჰღირს ერთ მანეთად.

*** რედაქციამ მეორე ახალი წიგნიც მიიღო „ლექსები ნ. ბარათაშვილისა", გამოცემა სპ. ჰელიძისა. წიგნში მოთავსებულია ავტორის ბიოგრაფია და ჩვენის მწერლების აზრი ნ. ბარათაშვილისა და მისს პოეზიაზე. წიგნი სუფთათ არის გამოცემული და აპაზად ჰღირს.

*** როგორც ამბობენ თ. ა. სუმბათაშვილი წელს აღარ ჩამოვა ტფილისში. ამ ჟამად ის დასი, რომელშიც იგი მონაწილეობას იღებს, ვარშავაშია და სხვათა შორის „ღალატსაც" თამაშობს. დასი დარჩება იქ ამ თვის გასვლამდეო.

## სამი ახალი წიგნი ი. ს. გოგებაშვილისა.

(შემდეგი *).

### III

ყველაზედ უფრო სამნიშვნელოთ მიმაჩნია ბ-ნ გოგებაშვილის მესამე წიგნი სათაურით: „ბურჯი ეროვნებისა". იშვიათად გაუტაცივარ ასე სხვა რომელისამე ნაწარმოებს; იშვიათად წამიკითხავს ასეთი სიამოვნებით და თითქმის ალტაცებით სხვა რაიმე წიგნი. ჩვენს სახელოვან პედაგოგს არ დაუზოგავს აქ თავი და უხვათ დაუფრქვევია ამ წიგნში თავისი ნიჭი, ცოდნა და მეტადრე გრძნობა. ყოველი სიტყვა, ყოველი ასო ამ წიგნისა ფშვის სამშობლოს ზენაარ სიყვარულით. ამიტომ არ შემიძლია არ შევჩერდე უფრო ვრცლად მის შინაარსზედ. არ შემიძლია არ მოვუხმო ყველა ქართველს ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, რომ უსათუოდ წაიკითხონ ეს წიგნი, წაიკითხონ იგი გულდასმით და შეგნებულათ.

ნუ ვეძებთ ამ წიგნში რაიმე ახალს. მისი საგანი ძველია და არა ერთხელ თქმული ჩვენს მწერლობაში. მაგრამ არიან საგნები და კითხვანი, რომელნიც არას დროს არ ძველდებიან. ისინი ძველია ვით წარსული, მაგრამ იმავე დროს ახალია ვით აწმყო და მომავალი. ამგვარია ერის ბურჯი—სამშობლო ენა. ბევრი რამ თქმულა დედაენაზედ, ბევრი რამ ითქმის კიდევ, მაგრამ ეს ტემა არას დროს არ დაძველდება. რაიმე საფუძვლიანათ თქმული ან დაწერილი ამ საგანზედ სიამოვნებით იკითხება მარად ჟამს.

სამშობლო ენა, სამშობლო ენის მნიშვნელობა და სიყვარული... ოჰ, რა ტკბილი და მრავალ აზროვანია ეს სიტყვები! მაგრამ გვესმის კი მათი მნიშვნელობა?! ვგრძნობთ კი დედა-ენის სიყვარულს?! საოცარი ხალხი ვართ ქართველნი! ბუნებას მოუცია ჩვენთვის შვენიერი ქვეყანა, ტურფა სული და სხეული, მკვირცხლი ნიჭი, ჩვილი გრძნობიერი გული, მხნეობა, ვაჟკაცობა, შემოქმედი ძალა და ზნეობრივი სიფაქიზე. ამასთან ერთად უბოძებია ჩვენთვის სულის ორგანოთ მშვენიერი ენა, ტკბილი, ვით ციური სიმფონია და ფეროვანი, ვით საქართველოს ბუნება. ძველს ისტორიას კი საშინელ წამებასთან ერთად შეუქნია ჩვენი კულ[illegible]რა, გაუვითარებია ჩვენი ენა, მწერლობა, ხელოვნება, აღმოუცენია ჩვენს არსებაში საოცარი რაინდობა. მაგრამ სავალალოთ ახალმა ისტორიამ გაგვანადგურა ერთიანათ, მოწამლა ჩვენი არსება, დაგვცა სულით, დაგვცა ზნეობით, ნივთიერად და გარდაგვქნა სამარცხვინო მონათ. ჩვენ ვსპობთ ჩვენის ხელით ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენ ვანადგურებთ ჩვენს მაღალ კულტურას, ჩვენს ვთელავთ ფეხ-ქვეშ ზეციურ ენას, ჩვენ ვრყვნით სკოლებში ჩვენს შვილებს, ჩვენ ვუთხრით ძირს ჩვენს მომავალს... და ამ საშინელ საქმეს ჩავდივართ შეუგნებლად მტერ-მოყვრის ტკბილის ტიტინით და ჯილდოთი მოხიბლულნი... სად გაქრა ქართველის ჭკუა და გონება?! რამ დაგვიმსო ერს გონების თვალი?! მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზედ სამი წლის წინათ ქუთ. თავად-აზნაურთა კრებაზედ ორატორთა ღაღადი: «ვითხოვოთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქართული ენა ასწავლონ ჩვენს სკოლებში. ნეტა რათ გვინდა დედა-ენის სწავლება მარტო სკოლებში, როცა ეს ენა გაგვიდია ოჯახიდან და კრებიდან, როცა ამ ენაზედ აღარ კადრულობენ ბაასს ჩვენი ქალები, ინტელიგენტ-არისტოკრატნი, როცა დედები უტიტინებენ ყურში ჩვენს შვილებს უცხო ენას, (და ეს ხდება «პატრიოტთა», ოჯახებშიაც კი), როცა მახინჯდება ჩვენი ენა ქართულს სცენაზედ და პრესაში, როცა უფრთხიან ამ ენას თვით ჩვენი საუკეთესო მსახიობ-ლიტერატორნიც კი. ისინი ვარჯიშობენ უცხო ენაზედ, იმათ ემარჯვებათ რუსული ენა და ათასში ერთხელ თუ ამოიკნავებენ ქართულათ. რას ნიშნავს ეს, თუ არა ჩვენს დაცემას და უმეცრებას?!

ყველამ გაიღვიძა, ყველამ შეიყვარა თავისი ენა. ყველამ წამოაყენა წინ დედაენა და მოუპოვა მას შინ და გარეთ პატივის ცემა. შეიყვარეს თავისი ენა და გააცვნეს სხვებს ფინმა, პოლონელმა, სომეხმა, სერბმა, ბულგარმა და ერთი სიტყვით ყველამ, ჩვენს ტაფაში მყოფ ერებმა, მხოლოთ ქართველს ძინავს სიღათას ძილით და ვერ მხერს, თუ რა ხდება ირგვლივ, და როცა აგინებენ ჩვენს ენას, როცა ეძახიან ძაღლის ენას, როცა დევნიან მას [illegible]შკოლა.—ეკლესიიდან, როცა თელენ ფეხ-ქვეშ, ამ დროს ჩვენ ვყუჩობთ ან ვიცინით უაზროთ; არა, კიდევ უარეს ვშვრებით: მათთან ერთად ჩვენც გაგვიბამს ფერხული და ვტკეპნით ჩვენს წმინდათა-წმინდას. ნეტა რას ფიქრობთ, ბატონებო! რა რიგათ მოგვიხსენებს ჩვენი მომავალი თაობა ამისთანა ლაჩართ წინაპართ, თუ არა კრულვით და ზიზღით?! ნეტა ვინ ცემს იმ ხალხს, იმ ადამიანს პატივს, ვინც სპობს თავის საუნჯეს, ვინც ამცირებს თავის ენას?! მტერი თუ მოყვარე, ყველა ზიზღით მოეკიდება მათ. და სწორეთ ასე გვექცევიან ქართველთ ჩვენი მეზობელნი.

(შემდეგი იქმნება)

*) იხ. „ივერია", № 106.

## კავკავის ქართველების საზოგადო კრება.

—

კვირას, ორს მაისს კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში მოხდა კრება იმ ქართველებისა, რომელნიც ჩაეწერნენ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კავკაველ წევრებად. კრებას დაესწრო 39 წევრი საზოგადოებისა. საზოგადო კრებამ განიხილა წარსულ წლების შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ პირველ იანვარს ყოფილა სკოლის კასაში 1623 მ. 28 კ. ხოლო ორ მაისს 758 მ. 75 კ. აქედგან ბილეთებით 651 მ. 85 კ. და დანარჩენი ფულად. საზოგადო კრებას თავმჯდომარეობდა ტ. კახიძე. საზოგადო კრებაზე წაკითხული იქმნა ახალი ინსტრუქცია კავკავის სკოლის მართვა-გამგებლობის შესახებ, გამოგზავნილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან. ეს ახალი ინსტრუქცია ძველისაგან განსხვავდება იმითი, რომ სკოლის უფროსს მასწავლებელს ეძლევა ზოგიერთი კანონიერი უფლება აწარმოვოს სკოლის პედაგოგიური მხარე განსაზღვრულის უფლებებით, რომელიც მთლად თუ არა მცირეოდენ დამოუკიდებლობას მაინც შეიცავს. თითქმის ორი წელიწადია, რაც ამ ინსტრუქციის წერას ანდომებენ აქაც და გამგეობაშიაც, და ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან აქაურები და წერა-კითხვის გამგეობა, თუ როგორი წესია სასურველი კავკავის სკოლის მართვა გამგეობისათვის. ეს არ-შეუთანხმება სჩანს იქიდამ, რომ კრებამ დაადგინა: «მიღებული იქმნას ახალი ინსტრუქცია, მხოლოდ ეთხოვოს წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობას შესცვალოს ინსტრუქციის ის მუხლები, რომელიც ეხება გამგესა და უფროსს მასწავლებელს. კრებამ დაინახა საჭიროდ, რომ სწავლა-აღზრდის საქმეც იყოს გამგის ხელში. ამ საკითხის წამოყენება და ინსტრუქციის შეცვლის შესახებ ლაპარაკი საზოგადო კრებაზე, ჩვენის აზრით, სრულიად უადგილო იყო. ამით უეჭველია სკოლაში ნორმალური წესიერების დამყარების მოწინააღმდეგეებს უნდათ თავისი აზრი ხმის უმეტესობით გაიტანონ: აი კავკავის ქართველობა ამისთანა აზრისაა და ასე უნდა იყოსო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბევრია იმისთანა საკითხი, რომლის ხმის უმეტესობით გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია—ხშირად ერთის საღი აზრი სჯობნის ასი კაცის დაუკვირვებელს მსჯელობას. ძველი ინსტრუქციის მწარე ნაყოფი და უვარგისობა ყველასათვის ცხადი აღმოჩნდა. ახალი ინსტრუქცია ჯერ შემოღებული არ არის და იმის უვარგისობაზე ლაპარაკი ნაადრევი უნდა იყოს, მაგრამ რასა იქ, როდესაც ზოგიერთებს ლოგი- კა და ფულის თამასუქი ერთი და იგივე ჰგონია.

კომიტეტის წევრებად ხმის უმეტესობით არჩეულნი იქმნენ თ-დი იასონ ლორთქიფანიძე, ალ. სარაჯიშვილი, ტ. კახიძე, მ. კალანდარიშვილი, ნ. ყაზბეგი. კ. გვარამაძე, გრ. ბურდული. ამათ კანდიდატებად—ივ. ჩითაევი, კ. მაჭავარიანი, მიხ. თხელიძე და ივ. მაისურაძე. სამწუხაროდ, კომიტეტის წევრთა შორის ძალიან მცირეა ადგილობრივი ვაჭართაგანი. ამ წევრებშიაც მხოლოდ ერთი მოჰყვა ვაჭართაგანი და ისიც თურმე უარს ამბობს. საზოგადოთ ისეთმა შეძლებულმა მკიდრმა, რომელსაც მართლა შეუძლიან ბევრი საქმის გაკეთება, არჩევნის ყური არ დაიდგა, ახალ არჩეულთაგანი უმეტესობა სამსახურის ხალხია, მოხელეები და თუ თავისუფალ დრო და მოცალეობა იშოვეს, საზოგადო საქმეში სამსახურს იმედია არც ერთი მათგანი არ დაიშურებს.

სამზრუნველო კომიტეტის წევრთა შორის «წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების» გამგეობამ უნდა აირჩიოს, კომიტეტთან შეთანხმებით, თავმჯდომარე, რომელიც ინსტრუქციის ძალით არის იმავე დროს სკოლის გამგეც; ვნახოთ ვის აირჩევენ ამ თანამდებობაზედ-პედაგოგს თუ არა პედაგოგს. არც ეს საკითხია უმნიშვნელო, რადგანაც ბევრსა ჰგონია სკოლის გამგებლობა, რომელიც გარეშე პირთათვის უდრის სკოლის მზრუნველის ფუნქციას, უნდა ჰქონდეს ჩაბარებული პედაგოგს და არა სხვა პირს მაღალის განათლებისას, თუნდ ეს უკანასკნელი ბევრის საჭირო თვისებებით პედაგოგსაც სჯობდეს და ეს ვიწრო შეხედულობა უშლის ხელს საქმეს, რადგანაც პედაგოგები ისე ცოტანი არიან აქ, რომ, თუ მარტო მათზე მიდგა საქმე, ბევრი ვერაფერი გაკეთდება სასურველად.

## ახალი საზოგადოება თბილისში.

—

5 მაისს დედათა პირველ გიმნაზიის შენობაში შესდგა პირველი კრება ახალის საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს, ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქალთა უმაღლეს სასწავლებლების იმ მოსწავლეთ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი კავკასიის სამოსწავლო ოლქში გაუთავებიათ.

დახმარება, როგორც ეს საზოგადოების წესდებიდან სჩანს, გამოიხატება ა) სალექციო ფულის შეტანით, ბ) მუდმივის ან ერთიანის შემწეობის აღმოჩენით იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც უკვე უმაღლეს სასწავლებლებში არიან ან გ) რომელთაც ახლად გაუთავებიათ სასწავლებელი და სურთ სწავლა განაგრძონ. ყოველივე დახმარება, რომელთაც საზოგადოება აღმოუჩენს ზემორ, დასახელებულთ, უთუოდ უნდა მოხსენდეს იმ სასწავლებლის მთავრობას, სადაც მოსწავლე-ქალი სწავლობს და დახმარების სათხოვნელად მთხოვნელმა უნდა მიჰმართოს ან სასწავლებლის მთავრობას ან და პირდაპირ საზოგადოების გამგეობას. ცხადია, ზემოხსენებულ საზოგადოების დაარსება აუცილებელის საჭიროებით არის გამოწვეული და დიდათ თანაგრძნობის ღირსიც არის, თუ მასაც ის საქმე დაემართა, რაც ბევრს მის მზგავს საზოგადოებას.

პირველად ბევრსა ვყვირით, გატაცებულნი ვეკიდებით საქმეს, ვნიშნავთ კრებას, გავიძახით მაღალ-მაღალ ფრაზებს დახმარების, სოლიდარობის საჭიროებისათვის და მერე კი ეს სოლიდარობის გრძნობა ნელ-ნელა ქრება, დახმარების საჭიროება როგორღაც გვავიწყდება და ნაკისრი მოვალეობა სამძიმოდ გვეჩვენება, პირადის კეთილდღეობის და ინტერესების უღელში გაბმულებს. ამნაირად საზოგადოების კრებას აღარ ვეკარებით, საწევრო ფულის გადახდას ვერიდებით ისე, როგორც ურია ღორის ხორცს და თუ, მაგალითად, სტუდენტობის დროს საამხანაგო კასიდან ფული გვისესხნია და თან გამოგვყოლებია ვალად, ეს გარემოება სრულებით არ აღშფოთებს ჩვენ სინიდისს, თუმცა ვიცით კი, რომ ვალის გადახდით დიდად შევუმსუბუქებთ გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვენს მოზარდ თაობას.

აი ეს ფიქრები ყორნის ჩხავილივით დაგვტრიალებდა თავს, როცა დაუზარებელი შრომით სურვილს ვხედავდით საზოგადო კრებაზედ, რომელზედაც ბევრი ჩაეწერა წევრად; წევრობის მსურველმა წელიწადში, ისიც ნაწილ ნაწილ, უნდა გადიხადოს არა ნაკლებ სამის მანეთისა, ან და შეიტანოს კასაში ერთ ხანად ექვსი თუმანი.

კრებაზედ არჩეული იყო გამგეობის თორმეტი წევრი.

ვისურვებთ საზოგადოების წარმატებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას იმისთანა დიდს საქმეში, როგორიც არის უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთა დახმარება.

## აბრეშუმის ჭიის მოვლა.

—

ჭიის დასაჯდომი ადგილის გაფართოება.

მურს თითქმის მეორე კანის გამოცვლამდე ცოტა ადგილი უკავია, შემდეგ კი თან და თან მეტი და მეტი. ჭიები სქლად არასოდეს არ უნდა ისხდნენ, თორემ ერთმანეთს ჭამას უშლიან, თანასწორათ არ ღებულობენ საზრდოს, მაშასადამე ზოგი გამოვა ღონიერი და კარგად გაიზრდება, ზოგი სუსტი და პატარა, ზოგი ამათგანი ადრე გამოიცვლის კანს, ზოგი გვიან. ეს ერთი; მეორე ისა, რომ სქლათ ჯდომის დროს ისინი სუნთქამენ შეხუთულ ჰაერს. შედეგი სქლათ ჯდომისა მაშ ეს არის: 1) უსწორ-მასწოროთ ზრდა, 2) არა ერთ დროს კანის ცვლა, 3) პატარ-პატარა პარკების მიღება, 4) არა ერთ დროს პარკების ქსელვა, 5) ავადმყოფობის აუცილებლად გაჩენა.

ადგილის გაფართოება, ჭიების თხლად დაჯდენა, შეიძლება ყოველ ფურცლის ჭმევის დროს: ფურცელი დაუყარეთ ჭიებს ცოტა მოშორებით იმ ადგილიდგან, სადაც ისინი არიან და ჭიები თითონ დაიფანტებიან. შეიძლება იქა-აქ ხელით აიღოთ წყებიდგან ჭიების გროვა და მოშორებით დააჯდინოთ,—ცარიელ ადგილზე წყებაში ფოთოლი დაჰყარეთ და იქ გადავიდნენ ჭიები. კიდევ შეიძლება ასაკრეფ ქაღალდებით: დილას აიღეთ ასაკრეფი ქაღალდი და დაადევით ჭიების წყებას, პარტიას, დაჰყარეთ ზედ ფურცელი. როდესაც ამ ასაკრებზედ გადავიდნენ იმდენი ჭიები, რამდენიც სასურველია, მოაშორეთ ასაკრეფი და ცალკე დადევით და შემდეგ დარჩენილებს დააფინეთ მეორე ასაკრეფი ქაღალდი, შემდეგ მესამე, თუ საჭირო არის, და ამ ნაირად ერთ პარტიის მაგიერ გეყოლებათ ორი, სამი პარტია ჭიებისა, რომლებსაც უკავიათ დიდათ მეტი ადგილი.

მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

—

**რომი.** (საკუთარ კორესპონდენტისაგან). აპრილის 11 ს, პაპმა წმიდა პეტრეს ეკკლესიაში სწირა და დიდის ამბით გადაიხადა პაპის გრიგოლ პირველის, ანუ დიდი გრიგოლის მე-XIII, ასის წლის იუბილეი.

ეს პაპი საქართველოსათვის უცნობი როდია, ქართველ კათალიკოსებს იმასთან ურთიერთობა ჰქონია. ჩვენამდინ მოაღწია ამ პაპის ერთმა წერილმა, რომელიც კირიონ კათალიკოზისათვის პასუხად მიუწერია და რომელსაც ქვემოდ მოვიყვანთ. ამისთვის უადგილოდ არ მიგვაჩნია რამდენიმე სატყვა ვსთქვათ ამ პაპისათვის.

რომის საყდარს ბევრი შესანიშნავ პაპთა შორის პაპი გრიგოლ პირველი ერთი უწარჩინებულთაგანია. მისის ცხოვრების აღმწერი ახასიათებს მის ღვაწლს: «მეტად საკვირველია რაც სთქვა, გააკეთა, დას-

წერა და დაადგინაო». მართლაც, ძლიერ იშვიათია იმისთანა კაცი, რომელსაც ეგოდენი ღვაწლს კაცობრიობისა და ეკკლესიისათვის, როგორც გრიგოლ პაპმა იღვაწა. ჯერ ისევ კარდინალი იყო, რომ პელაგიო პაპმა ტიბერიო კონსტანტინე იმპერატორს ელჩად გაუგზავნა კონსტანტინეპოლში, სადაც მოაქცია შეცდომისაგან ევტიქე პატრიარქი, რომელსაც დაეწერა ხორცით აღდგომის წინააღმდეგ თხზულება.

როცა პაპად აარჩიეს გრიგოლი, 590 წელს, მან თავი მოარიდა, მწირის ტანისამოსი ჩაიცვა და ერთ გამოქვაბულში დაიმალა, რათა მის მაგიერ სხვა აერჩიათ პაპად. მაგრამ, როგორც მოგვითხრობენ, ცეცხლის გამობრწყინებულმა სვეტმა გამოამჟღავნა მისი თავ-შესაფარი ადგილი, საიდანაც მაშინვე გამოიყვანეს და პაპობა მიაღებინეს. არჩეულ იქმნა პაპად თუ არა, სიფიცხით მოეპყრა ეპისკოპოსებს, ყველა მხრიდან გარდევნა და ყველგან ქრისტეს წმიდა სარწმუნოება განაძლიერა.

მის დროს საზოგადოდ ევროპა და განსაკუთრებით იტალია წარმოადგენდა მეტად სამწუხარო სურათს. ბიზანტიის იმპერატორებს დიდი გავლენა აღარ ჰქონდათ იტალიაში, ერთმანეთს შორის ქიშპობის გამო. ლონგობარდები და სხვა ტომნი თავისუფლად თარეშობდნენ და ყველანაირ უბედურებას აყენებდნენ იტალიას, მეტადრე რომს. მხოლოდ გრიგოლ პაპმა გამოიდვა თავი და მხოლოდ მან გაუწია მამობა და პატრონობა იტალიის ერს: მხნედ წინააღუდგა მძლავრთა, მტერნი უკუ აქცია, განათავისუფლა ყმანი და მოუპოვა მშვიდობა იტალიას. ის იყო, რომ რომის პაპებს, იმ დროდან დაწყებული. თავისით მიენიჭათ სახორციელო ხელმწიფებაც. რომელმაც მოჰფინა ერს ჭეშმარიტი ქრისტიანული თავისუფლება და განათლება. სწორედ ამ გრიგოლ პაპის დროს იყო, რომ, ძველებურს განათლებას ბოლო ეღებოდა და ჰქრებოდა რომში; გრიგორმა ისწრაფა და მის სამაგიეროდ ქრისტიანებრივი განათლება დაამყარა.

პაპას მალე უწოდეს დიდი გრიგოლი. ეს დიდათ ბევრნაირად მოიხვეჭა: დიდი იყო იგი თავისის მოციქულებრივის მოღვაწეობით თავისის სიწმინდით, თავისის მეცნიერებით და თავის მწყემსებრივის მზრუნველებით: დიდი იყო იმ უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც ჰქონდა რომისა და იტალიისადმი; დიდი იყო იგი იმ მფარველობით, რომელსაც უწევდა დაჩაგრულთ და იცავდა მათს სიმართლეს წინაღმდეგ მძლავრთა და ბარბაროსთა; მეტადრე დიდი იყო იგი იმ უსაზღვრო და დაუშრომელ კაცთ მოყვარებით და კეთილის მყოფელობით, რომელსაც უყოფდა ყოველს ერსა, განათლებასა თუ ბარბაროსსა. მან თავისი ლოცვით შეაჩერა მმუსრავი ჟამი: იმპერატორნი განსწავლა სიმართლეში და ერნი მორჩილებაში; ანუგეშა აფრიკა: ესპანიაში ვიზიგოტები გამოიყვანა არიოსის მწვალებლობისგან და თავიანთ მეფით თურთ განამტკიცა კათოლიკობაში: თავისის მოძღვარებით განაბრწყინა მსოფლიო ეკკლესია; შემუსრა ამაყთა თავხედობა; აღმოსავლეთი და დასავლეთი ჰმართა სიმხნით და სიმდაბლით: ესრეთ ქვეყანას დაუტევა საეკკლესიო მართველობის მისაბაძი მაგალითი. თავის მაღალს მეცნიერებას და გენიოსობას შეუერთა ყველა ის სათნოებანი, რომლებიც აღამაღლებენ და სრულ ჰყოფენ პაპსა და მთავარს.

დიდობის სახელი მან დაისაკუთრა უფრო ეკკლესიის მართვაში. ენით გამოუთქმელია ყველა ის მზრუნველობა, რომელიც მან გაუწია ქრისტეს ეკკლესიას. წმიდა ივანე დამასკელი უწოდებს «ქრისტიანე საზოგადოების უუბრძენეს მამად». ეკკლესია განამდიდრა ეგრეთვე თავის მეტად სასარგებლო მოძღვრებით: დასწერა დიალოგანი, ქადაგებანი, მწყემსებრივი დარიგებანი და სხ, (უწინ ჩვენ ძველ მწერლებმა ქართულად სთარგმნეს მისი დიალოგანი, ამ ბოლო ხანებში, ჩვენ პატივცემულ მღ. გვარამაძემაც სთარგმნა მისი მწყემსებრივი დარიგებანი. გარნა, სამწუხროდ, დღემდინ არ დაბეჭდილა). იგივე წმიდა დამასკელი ამბობს: «თავის აღურიცხველ ნაშრომის გამო, გრიგოლ პაპი ყველგან სამუდამოდ ცოცხალიაო». ამის გამოა, რომ პაპმა, მე—ამ გასულ 12 მარტს წმიდა გრიგოლის დღეობას, გამოსცა საყოვლიერო წერილი (ენციკლიკა), რომელშიც გრიგოლ პაპის ცხოვრება და მოძღვარება მოკლედ გამოსახა და შეაგულიანა ყველა საეკკლესიონი, რათა მიჰბაძონ მის ცხოვრებას და იხელმძღვანელონ მისის მოძღვარებით.

(დასასრული იქნება)

## შემოწირულებანი

ნაზარბეგოვის მაღაზიამ ოთხი ხარდინკა და შოკოლადები. ანნა სტეფანეს ასულმა ისარლიშვილისამ ვერცხლის სამარილე; მარიამ ბექანის ასულმა ლაზარაშვილისამ ორი ვერცხლის ჩანგალი; ნინო ოსეფის ასულმა ნიკოლიაშვილმა ერთის სამურის საყელო და ერთი მუფთა; ნინო დავითის ასულმა ნიკოლაშვილისამ ორი სხვა და სხვა ნივთი. მარიამ ნიკოლოზის ასულმა იმნაძისამ ორი ნაკერი სამუთაქე; მარიამ ბექანის ასულმა ჩერქეზიშვილისამ ერთი კოლოფი ფოსტის ქაღალდი; მარიამ დავითის ასულმა ალხაზიშვილისამ ორი ბრონზის სურათი, ერთი სასუხრე: სოფიო დავითის ასულმა დებკროვისამ სამი არშინი ქიშმერი.

მარიამ გაბაშვილისამ 5 მ. უცნობმა 2 მან.

ნინო თაყაიშვილისამ სალიკორე მოწყობილობა ფრაკესი.

თ. მაყაშვილისამ 5 მან., ს. თარხნიშვილისამ 3 მ,, უცნობმა 1 მ.; ს. მაყაშვილმა 1 მ. 50 კ., ვ. ფარესაშვილმა 1 მან.; კორინთელმა 1 მ., კ. ნასიძემ 1 მ.; ბ. ცაგარელისამ 1 მ., კონსტანტინე ჩერქეზიშვილმა 3 მ., NN 1 მან.; ილია ზურაბიშვილმა 1 მ., ე. პავლიაშვილმა 1 მ., ელენე ანტონოვსკისამ 1 მან., კ. ჯორჯაძემ 2 მ., თ. ილ. ჩერქეზიშვილმა 2 მ.; თ. გიორ. ციციშვილმა 2 მ.; ლ. ფურცელაძემ 2 მ.; კ. სვიმონოვმა 2 მ., ი. ი. მარკოზოვმა 1 მ., ვ. მაღალაშვილმა 1 მ., ლევან კობიაშვილმა 1 მან., კ. გარაყანიძემ 1 მან., გ. კლიმიაშვილმა 1 მ.

გიგუროვის და ამირაღოვის მაღაზიამ ოთხი ნაჭერი ჩითი, კაჭკაჭოვმა ჩითი თორმეტი არშინი, სარიევმა და ანანოვმა ორი რედიკიული, სამი სავარცხელი, ერთი წყვილი ფელჩათკი, ორი ყელსახვევი და სამი ქამარი, პატარა გიორგი აბულაძემ—30 პარკი კონფეტი, პაწია ქეთო ფურცელაძემ—30 პარკი კონფეტი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მაისი.

**კრემენჩუგი.** 5 მაისს დილიდგანვე ქალაქში უჩვეულებრივო მოძრაობა იყო ხალხისა; ქუჩები მეფის მატარებლის მოლოდინელმა ხალხმა ავსებით აავსო; ქალაქი მორთულია ბაირაღებითა, ხელმწიფის სურათებითა, ვენზელებით, სახლები შემკულია ხალიჩებითა, ფარჩებითა. ვაგზალზე დეპუტაციებია თავადაზნაურობისა, ერობისა, ქალაქისა, ვაჭრებისა, მამასახლისებისა, რომელნიც მის უდიდებულესობას პურმარილით დაუხვდებიან. 9 საათსა და 45 მინუტზე მივიდა სამეფო მატარებელი. მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც თან ახლდნენ ხელმწიფე მემკვიდრე, სამხედრო მინისტრი, სასახლის მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი გესსე, ლეიბ.ხირურგი გირში, ამალის გენერალ-მაიორი მოსოლოვი და ფლიგელ-ადიუტანტები.

**ტიანძინი.** («რეიტერის სააგენტო»). 30 აპრილს ხუნხუზებმა იერიში მიიტანეს რკინის გზის მატარებელზე ნიუ.ჯუანსა და გოლუბანძს შუა.

**ნიუ-ჯუანი.** («რეიტერის სააგ.»). ზარბაზნები და სხვა იარაღი საკანონერო ნავის „სივუჩისა“ გაგზავნეს დაშიცაოს. იაპონელთა სატევს მოქმედებას არ ელიან, რადგან წვიმებმა გზები ერთობ გააფუჭეს.

**შანხაი.** („რეიტერის სააგენტო“). ქვემო მანჯურიის ჩინელნი ერთობ ნასიამოვნები არიან იმ დეპეშით, რომელიც იაპონელებს გაუგზავნიათ მუკდენს ვიცე-კოროლის ჩენგრისათვის. დეპეშით ატყობინებნ, ავიღეთ ანდუნი ჩინეთისათვის და სთხოვენ ვიცე-კოროლსა აღადგინოს იქ თვისი მმართველობა. ჩინელებს სთხოვენ დაბრუნდნენ ანდუანს და მიჰყრიან ხელი ხელახლად თავიანთ სავაჭრო საქმეებსა.

**რომი.** ქვრივი დიდი პერცოგინია. პაულინა საქსენ-ვეიმარელი უცბათ გარდაიცვალა.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). როგორც ოფიციალურის ცნობებით სჩანს ოთხიათასამდე ლტოლვილნი დაბრუნდნენ, მაკედონიაში, კომისიები უადვილებენ დაბრუნებასა. ჯერ დაბრუნებულებს საჩივარი არ განუცხადებიათ. ირწმუნებიან ზოგიერთმა ელჩებმა სტამბოლში განკარგულება მომხდინეს, რომ შემწეობა აღმოუჩინონ დაბრუნებულ ლტოლვილთა.—კომისიებმა დუნაის უკმაყოფილებათა გამო თვისი სამუშავო გაათავეს; დარჩა რამდესიმე სადაო მუხლი, რომელსაც გააწესრიგებს გარეშე საქმეთა სამინისტრო, შემდეგ კა მოაწერენ ხელს განსაკუთრებით პირშეკრულობას.

**სოფია.** («ბიუროს კორესპ.») აქ მოვიდა პარიჟელი ელჩი ოსმალეთისა მინირფაშა. როგორც მმართებლობის მომხრეთაგან ისმის, მოსალოდნელია, რომ ის გადასცემს მთავარს ფერდინანდს, რომელიც ეხლა უნგრეთშია, სულთანის სურვილს სტამბოლში მისვლის შესახებ. მთავარი აპირებს ბულგარიაში დაბრუნებას ივნისის დამდეგს.

**მუკდენი.** (საკუთარის კორესპ.). 3 მაისს იაპონელთა გემები მოუახლოვდნენ ლიაოდუნის დასავლეთ ნაპირებს იმ აზრით, რომ ერთსა და იმავე დროს გადმოესხათ ჯარები გაიჯოუსა და სენიუჩენში. ეს მოსაჩვენებლად მოახდინეს და მტრის გემები უკანვე წავიდნენ.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო») ლორდთა პალატა. შეკითხვაზე მომავალი პოლიტიკის შესახებ თიბეთში რა აზრს ადგია მთავრობაო, გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მთავრობის პოლიტიკა უცვლელად რჩებაო. მთავრობამ ყოველივე იღონა, რომ მოეპოვებინა შემწეობა და თანხმობა ჩინეთის მთავრობისა, მაგრამ განსაზღვრა იმისი, თუ ჩინეთის მთავრობა რა დახმარებას აღმოუჩენს ინგლისსა, დამოკიდებულია ამბანზე, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ლხასში თითქოს ტყვედა. რაიცა შეეხება აწინდელს სამხედრო საქმეებსა, მთავრობა თავ-დაჭერით მოიქცევა, რათა დაწყობილი საქმე კეთილად და ინგლისისათვის სადიდებლად დაასრულოს. თანაშემწემ მინისტრისამ ინდოეთის საქმეთა გამო განაცხადა: «იქნამდე უნდა ვეომოთ თიბეთს, მინამ იარაღით ჩვენს მდგომარეობას არ დავიცავთ.

**კრემენჩუგი.** მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ მოისმინა ჯარის უფროსის მოხსენება, გაატარა თვისს წინაშე საპატიო დარაჯი და მიიღო დეპუტაციები. ხელმწიფე იმპერატორმა აღირსა რამდენიმე სიტყვა დეპუტაციებს. ვაგზლიდამ მის უდიდებულესობა წაბძანდა მეიდანზე, სადაც დაათვალიერა ჯარები, რომელიც შორეულ აღმოსავლეთს მიემგზავრებიან. ქუჩები გატენილია აღტაცებულის ხალხით. მოსწავლენი ბაირაღებით და თაიგულებით დაუხვდნენ. დათვალიერების შემდეგ მისი უდიდებულესობა 10 საათზე პოლტავას წაბრძანდა.

**ბუდაპეშტი** უნგრეთის დელეგაციის გარეშე საქმეთა გამო კომისიამ მოიწონა საგარეო ბიუჯეტი და ნდობა გამოუცხადა გოლუხოვსკისა. მინისტრმა გაიოცა, ოსმალეთის შესახებ ნათქვამი სიტყვები მკახედ ეჩვენათო და ამიტომ განაცხადა: «ჩვენ ოსმალეთს ისე ვექცევით, როგორც მეგობარი მეგობარს, როცა ვეუბნევით იმას, რომ მიურცშტეგის პროგრამის შეუსრულებლობა, რომელიც გამოგონილია ოსმალეთის ინტერესებისა და მშვიდობიანობის დასაცველად, ოსმალეთს დასცემს. ჩვენ არ მივდევთ საოკუპაციო პოლიტიკას და საქმეში ჩარევას არა ვფიქრობთ».

6 მაისი

**პეტერბურგი.** ხარკოვის გუბერნიის გამგემ მოახსენა დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრსა, ხელმწიფე იმპერატორმა 4 მაისს წასვლის დროს ხარკოვიდან კეთილ ინება და მადლობა გამოუცხადა ქალაქს და მის მიდამოებში მცხოვრებთა და ყველა მოსულთ მაზრებიდამ მის იქ მყოფობის დროს წესიერებისათვის.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). ჩინეთი მალე გამოაცხადებს, რომ ქალაქები ცინანფუ, ვეისანი და ჩუცინი შანდუნში გარეშე სახელმწიფოთა ვაჭრობისათვის თავისუფალნი იქნებიანო.

**ლონდონი.** 5 მაისს («რეიტერის სააგ.»). იაპონელთა ჯარის დივიზია 3 მაისს გაიჯოუს გადმოსხდა სამხედრო გემების ზარბაზნების მფარველობითა. დივიზია მიდის ნუჯუიანზე, სადაც ამ მოკლე დროში ელიან იაპონელებსა.

**სტამბოლი.** ბითლისიდან იტყობინებიან, 17 სომხთა სოფელი გადიწვაო უკანასკნელი ბრძოლის დროს სასუნას ოლქში. ანდრონიკეს ბრბო ვერ იპოვეს.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). იაპონიის მეორე ლაშქარმა ხუთ ადგილას გააფუჭა რკინის გზა პორტ-არტურის ჩრდილოეთად.—22 აპრილიდან 4 მაისამდე იაპონელებს დაუზარალდათ 146 კაცი.

**ჩიფუ.** «რეიტერის სააგ.). დასახელებულ ქალაქებს გარდა. ჩჟუჩენიც, უმთავრესი სამრეწველო ქალაქი შანდუნში, აგრეთვე თავისუფალი იქნება ვაჭრობისათვის.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას: «4 მაისს იაპონიის მოწინავე რაზმმა, რომელსაც 1 მაისამდე ეჭირა სანხაილინის უღელტეხილი დაიწია სელუნჩანისკენ მდინარე ბადაოხეს ხეობაში; დიანგოუში მცირე რაზმია იაპონელთა. სიან არ დაუჭერიათ; იმათი ძლიერი მზვერავი რაზმი სდგას სედოხოგესთან, როგორც ვიცით, იაპონელებმა დაგუშანი დასცალეს და იმათი 600 კაცი სდგას ლუანმიაოსთან და 300 სალიცაიპუძთან ლზარბაზნოდ; დანარჩენნი წავიდნენ ფინხუანჩენისაკენ. ხაბალინთან, ფინხუანჩენიდგან 16 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით, ხუთი ათასი კაცია. მესამე დღეა წვიმიანი დარია და გზები ფუჭდება».—დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრეს შტაბში 5 მაისით: «4 მაისს იაპონიის მოწინავე რაზმები, რომელნიც იგდნენ უმთავრეს იაპონიის გზაზე თხუმერცთან, წავიდნენ ჩანზალინის უღელტეხილისაკენ, შემდეგ დასცალეს სულუჯანი და დაიწიეს ფინხუანჩანისაკენ. ფინხუანჩენის გარემო იაპონელი სიმაგრეებ აგებენ. იაპონელთა რაზმები არ არიან დაგუშნიდან 15 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთად, ამ ადგილებიდან იაპონელნი გავიდნენ. მცირე რაზმები იმათი სდგა ხანდუსანსა და ლუანშოიაში, მდინარე დაიახეს მარცხენა ნაპირას იაიაპონიის მცირე რაზმები დროდადრო სიჟიამოს მიდამოებში გამოჩნდებიან ხოლმე.

**პეტერბურგი.** «მთავრობის მოამბეში» დაბეჭდილია: ხელმწიფე იმპერატორმა ინება და შეიარა კოზელშჩინის მონასტერში და 5 მაისს დილის 9 საათზედ მობრძანდა კრემენჩუგს. რკინის გზის სადგურზედ გაბედნიერდნენ და პურ-მარილი მიართვეს იქაურ თავად აზნაურობისა, ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, მამასახლისთა და მდაბიო მოქალაქეთა დეპუტატებმა. ებრაელთა უბნის დეპუტაციამ თორა მიართვა. სადგურიდგან მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი მემკვიდრეთი გაემართა ეტლით იქით, საცა იდგა მე-34 და მე 35 პოლკები. ცერემონია-მარშის შემდეგ ოფიცრებს სთხოვეს წინ წამომდგარიყვნენ; ხელმწიფემ ღირს-ჰყო რამდენსამე მოწყალე სიტყვისა და გზა დჰულოცა. ამასთანავე იმპერატორმა პოლკების უფროსებს გადასცა ხატები ხელმწიფე იმპერატრიცისა და თავის გნითა. ხოლოთ შემდეგ ხელმწიფემ დაიჭირა შუა ადგილი ჯარისა და მიმართა თვითეულ ბატალიონს ცალკე ამ ბრძანა, რომ დარწმუნებული ვარ, გაიხსენებთ პოლკების ანდერძს და შეჰკის დიდებულს დაცვას და ახლაც დასთრგუნავთ მტრის ჯიუტობასაო. ვისურვებ უვნებელნი დაბრუნებულიყოთ ლაშქრობიდანაო. შემდეგ ხელმწიფემ ერთხელ კიდევ გაუარა წინ ეტლით ბრიგადას, გამოიხმო ის ჯარის კაცნი, რომელთაც ჯვრები ჰქონდათ და ინება მოწყალედ გამოკითხვა. ხელმწიფე იმპერატორმა 5 მაისს პირველის ნახევარზედ სადგურ კობელიაკს ინება და მიიღო პურ-მარილი იქაურის თავად აზნაურობის, ერობის, საერობო უფროსების და მამასახლისების წარმომადგენელთაგან. პოლტავას მისვლის შემდეგ ნაშუადღევის 2 საათზე, მისმა უდიდებულესობამ ინება და მიიღო დეპუტაციები პოლტავის თავად-აზნაურობისა ერობისა, ვაჭართა და მდაბიო მოქალაქეთა, მამასახლისთა და გლეხკაცობისა. ყველა დეპუტაციამ მიართვა პურ-მარილი, ხოლო ებრაელთა დეპუტაციამ ეტრატები სამღვთო წერილისა. ვოგზლიდან ხელმწიფე იმპერატორმა ინება და წაბრძანდა საკრებულო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი. ტაძრიდან მისი უდიდებულესობა წაბრძანდა მაცხოვრის ძველს ეკკლესიაში, რომელიც პეტრე I ის დროს იქმნა განახლებული, ხოლო იქიდან ძეგლისკენ, რომელიც იქ არის აგებული, საცა პოლტავის ომის შემდეგ დაისვენა პეტრე დიდმა. ხელმწიფემ ინახულა მე-33 და მე-36 პოლკები, ოთხი ბატარეია მე-9 საარტილერო ბრიგადისა თვისის საბარგო ურმებითა. საცერემონიო მარშით გაატარა ჯარები, მიბრძანდებოდა ხოლმე თითოეულ ომში მიმავალ რაზმთან, ულოცავდა გზას ოფიცრებს, აკურთხევდა ხატით და უბრძანებდა, დარწმუნებული ვარ, როგორც ოფიცრები, ისე მდაბიო ჯარის კაცნი ეცდებით და უკვე შეძენილს სანაქებო სახელს არ გაუტეხავთ თქვენს პოლკებს. მთლად პოლტავის მცხოვრებლები და ახლო-მახლოდან მოსული გლეხ-კაცობა აღტაცებით მიესალმა ხელმწიფეს.

**ბელგოროდი.** 5 მაისს, დილის 10 საათსა და 44 წუთზედ ინება და გაემართა კურსკისკენ ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრითურთ.

**მუკდენი.** 6 მაისი. უკანასკნელ ცნობათა მიხედვით, იაპონიის ლაშქრის წინ სიარული შესწყდა. ზოგიერთი მოწინავე ნაწილი ჯარისა უკანაც კი დაბრუნდა. როგორც ეტყობა, უმთავრესი ჯარები მტრისა ფინხუანჩენსა და იალუს შუაა. პორტ არტურში მშვიდობაა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო») ოფიციალურს ცნობაში მეორე ლაშქრის ხმელეთზედ გადასვლის შესახებ ნათქვამია, რომ ლაშქარი 22 აპრილს მივიდა დანიშნულ ალაგას და, ფლოტის მფარველობის ქვეშე, დაიწყო გადასვლა. როგორც ხმა ისმის, 300-მდე რუსი იდგა პულანდიანთან, 300-მდე ბიძივოში და 600-მდე იმ ადგილის პირდაპირ, საცა ჯარი გადადიოდა ხმელეთზედ. დაუყოვნებლივ გაიგზავნა რაზმები ბიძივოდან პულანდინს რკინის გზის ასაშლელად და დასაქცევად. 23 აპრილს რაზმმა უკუ-აქცია რუსთა მცირე გუნდი და დაიჭირა რკინის გზის სადგური სანშილიპუ ორი მილის მანძილზედ. მოიკლა 1 ლეიტენანტი და 3 ჯარის-კაცი, 9 დაიჭრა. 3 მაისს დავიჭირეთ გრეხილი სერებისა 4 მილის მანძილზედ ჩიჩატონსა და ჩიკიშანს შუა. მტერი ვაიძულეთ სამხრეთად დაეწია. რუსნი იყვნენ 4 ბატალიონამდე ქვეითის ჯარისანი და 8 ზარბაზანი ჰქონდათ. ჩვენ დავკარგეთ 146 კაცი.

**ჩიფუ.** ახლად მოსული რაზმი ნავთა, რომელიც დალნიდან გამოვიდა ორასი ჩინელითა და მრავალის რუსებითა, ამბობს, დალნიდან ჩრდილოეთით ზარბაზნების ხმა ისმოდაო.

**სოფია.** (ოპოზიციონერთაგან) ოსმალოთა ელჩი პარიჟში მუნირ-ფაშა, რომელიც გუშინ მოვიდა, დღეს ვენგრიას წავიდა და ჰსურს თავის ხელით გადასცეს ბოლგარიის მთავარს სულთანის წერილი.

**ბერლინი.** „Hat. Zeit.“ იუწყება, მეფე ედუარდს განზრახვა ჰქონდა, აპრილში იმპერატორი ვილჰელმი ენახა პოტსდამში, ან ბერლინში, მაგრამ მეფე ედუარდმა აღარ ინახულა, რადგან გერმანიის იმპერატორს ხმელთა შუა ზღვაზე მგზავრობა უნდოდაო.

**ნოვგოროდი.** 6 მაისს გამართლებულ იქმნა სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი ვსევოლოდ დიმიტრის-ძე ლარიანოვი, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, ვითომ ძალ-დატანებით თავი მოაკვლევინა თავის ამხანაგს პოდპორუჩიკს ბორის დმიტრიევს.

**მინსკი.** წითელის ჯვრის აქაურმა განყოფილებამ სანიტარული განყოფილება მოამზადა 50 საწოლით.

6 მაისი

**ორიოლი.** დღეს დილით 9 საათსა და 15 წუთზე ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე საიმპერატორო და სამხედრო მინისტრებითურთ, ელეცის ვოგზალზე გადმობრძანდნენ მატარებლიდგან. ხელმწიფე იმპერატორი და მემკვიდრე ცესარევიჩი ცხენებით ჯარის დასათვალიერებლად გაემართნენ. გზაზედ გამწკრივებული იდგნენ ჩერნიგოვისა და ნეჟინის დრაგუნის პოლკები. ხელმწიფე იმპერატორი ჯარს მიესალმა, ცერემონიალურის მარშით გაატარა და უმოწყალესად დალოცა წმ. ნიკოლოოზის ხატით დრაგუნებმა აღტაცებით «ურა» დაჰძახეს. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. საიმპერატორო მატარებელი ორიოლის სადგურზედ გაჩერდა, სადაც ხელმწიფე იმპერატორს მიეგებნენ გუბერნატორი და წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, ერობისა და ქალაქისა. მიიღო რა პურ-მარილი და დეპუტაციები, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე, დიდ მთავრებითურთ ჩერნიგოვის პოლკის ეკ-

ლესიაში მიბრძანდნენ და წირვა მოისმინეს. წირვის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ პურ-მარილი მიიღო გუბერნიის სასოფლო მამასახლისებისაგან, რომელთაც წინაუძღოდნენ საერობო უფროსები. ხელმწიფე იმპერატორმა ლამაზად და სხვა-და-სხვა ფერად მორთულ ქალაქის ქუჩები განვლო და პეტრეპავლეს ტაძარში იგუმენ ანტონიისაგან ბალიკინის წმ. ღვთის-მშობლის ხატი მიიღო. 12 საათსა და 15 წუთს ტულას მიბრძანდა. მრავლად შეგროვილი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

**ჩიფუ.** (რეიტ. სააგ.). რამდენიმე რუსი, შორეულ-აღმოსავლეთიდგან მოსული, ირწმუნება, რომ იაპონელების ჯავშნიანი გემი და კრეისერი ორშაბათს ყუმბარას წააწყდა პორტ-არტურთან და დაიღუპაო. მოსულმა რუსებმა აუწყეს რუსთა კონსულს. ჯავშნიანი გემი „შიკიშიმა“ ისე სწრაფად დაიღუპა, რომ მეზღვაურთა გადარჩენის დრო აღარ იყოვო. მეორე გემი, რომელიც ყუმბარას წააწყდა და დაიღუპა, «ფუჯი» ყოფილა. პორტ-არტურიდგან ლტოლვილი ამბობს, რომ იერიშის მიტანის დროს ყუმბარებმა ქალაქს ვერა დააკლორაო. იაპონელთა გემები იერიშის მიტანის დროს დაღუპულან «შიკიმა ორს წამში ჩაძირულა, «ფუჯი» კი ნელნელა დაუძირავს, როდესაც ბუქსირით მიათრევდნენო. რუსების ნაღმოსნები ზღვაზე გამოვიდნენ და ისევ დაბრუნდნენ, როდესაც იაპონელების გემები გამოჩნდნენო. პორტ-არტურის შესავალი ღიაა.

7 მაისი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე საზღვარ გარედ გაემგზავრა სამკურნალოდ.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.). ადმირალი ტოგო იუწყება, მეტად ბნელ ბურუსში კრეისერი «კასუგა» დაეჯახა 12,320 ტონიან ჯავშნიან გემს «იაშიმას», რომელიც რამდენსამე წამში დაიღუპა. მეზღვაურთაგან მხოლოდ 90 კაცი გადავარჩინეთ. იმავე დღეს 15,000-ტონიანი საესკადრო ჯავშნიანი გემი «ხატცუსე» რუსების ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. მეზღვაურთაგან 300 კაცი გადაარჩინეს ნაღმოსნებმა.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტ. სააგ.). იაპონიის-ესკადრა გამოჩნდა 5 მაისს გაიჯოუს ჩრდილოეთად, 10 მილის სიშორეზე. გემებიდან გადმოსვეს მეზღვაურთა რაზმი. იაპონელთა რაზმი რკინის გზას აჰყვა და ლიანდაგი გააფუჭა 4 მილის მანძილზე. შემდეგ რაზმი ისევ გემებს დაუბრუნდა და ესკადრა წავიდა. ამბობენ, ეს გადმოსვლა მხოლოდ მოსაჩვენებლად იყო და ნამდვილად კი იაპონელებმა სხვა რაღაც ჩაიდინესო.

**ტოკიო.** ამ კვირია იაპონიიდგან 30,000 ჯარის-კაცი გაიგზავნა მეორე ლაშქარისა, რომელიც ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზედ მოქმედობს; მესამე ლაშქარი საჩქაროდ გროვდება და ემზადება წასასვლელად, როგორც ამბობენ, ნიუ-ჩუანისკენ.

**ტულა.** უჩვეულებრივო აღტაცება სუფევდა დილიდგანვე ქალაქში. აურებელი ხალხი იყო ქუჩებში, სადაც უნდა გამოეარნა ხელმწიფე იმპერატორსა. მაზრებიდანაც ათასობით მოვიდა ხალხი თვის სალმერთებელის მეფის სანახავად. მატარებლის მოსვლის დროს ყველა ვაგზლისაკენ იცქირებოდა, სადაც შეკრებილნი იყვნენ გუბერნატორი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ერობის უფროსნი, სხვა-და-სხვა დეპუტაციები. 5 საათზე მოვიდა საიმპერატორო მატარებელი. მიიღო გუბერნატორისაგან მოხსენება, ინახულა დეპუტაციები და გააბედნიერა პურ-მარილის მიღებითა, წინამძღვართაგან მიიღო ხატი, მოწყალედ გადაუხადა ყველას მადლობა. ვაგზლიდან მისი უდიდებულესობა ტაძარში წაბრძანდა, სადაც შეყრილნი იყვნენ ყველა თანამდებობის პირნი. გზა-გზა ხალხი სიხარულით «ურას» ყვიროდა. ტაძართან იყვნენ მოსწავლენი. ტაძარში მიეგება ეპისკოპოზი, რომელმაც ხატით დალოცა ხელმწიფე. მცირე პარაკლისის შემდეგ ხელმწიფე წაბრძანდა მეიდანზე, სადაც იდგა ჯარები, მესამე დივიზიის მეორე ბრიგადა ბარგითა. ხალხის აღტაცება აღუწერელია. ხელმწიფემ ცხენით შემოუარა ჯარებსა, რომელმაც მის წინ მარშით გაიარა. შემდეგ მისი უდიდებულესობა ბატალიონის შუა ჩადგა და მიმართა ჯარებსა თავისა და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მხრივ სიტყვითა, გზა დაულოცა და აკურთხა ხატითა. ჯარების გაშინჯვის შემდეგ ხელმწიფე წაბრძანდა ვაგზალზე, საიდამაც მატარებელი 7 საათზე გაემგზავრა.

**ნოვოჩერკასკი.** ხელმწიფე იმპერატორის სახელზე პარაკლისის გადახდის შემდეგ ატამან მაქსიმოვიჩის და ადგილობითი ადმინისტრაციისა და სტანიცების წარმომადგენელთა თანადასწრებითა დაუდგეს ძეგლი ციმბირის მფარველს ერმაკ ტიმოფეევჩსა. ძეგლის წინ ჯარებმა მარშით გაიარეს.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ადმირალ ტოგო იუწყება, ჯავშნიანი გემი «ხატცუსე» პორტ-არტურის წინ დადიოდა და იცავდა ჯარებს გადასხმის დროს, ამ დროს დაეტაკა ნაღმსა და შველა ითხოვა, მაგრამ იმავე დროს სხვა ნაღმს დაეტაკა და ნახევარ საათის შემდეგ ჩაიძირა.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტ. სააგენტო). ბევრი რუსის აფიცრები დაბრუნდნენ. საკანონერო ნავი «სივუჩი» კვლავ იარაღს ისხამს, აგრეთვე ორი სხვა გემიც, რომელიც ლიაოხესვთის მზადდება.—აქ ბევრი იაპონელი ჯაშუშები არიან, ერთი სიკვდილით დასაჯეს, ფიქრობენ, რომ ის აფიცერი იყო. ავაზაკები კვლავ იჭერენ ტყვედ მდიდარ ჩინელებსა, რომ შემდეგ ამათგან ფული აიღონ. ნიუ-ჩუანი სავსეა გადაცმული ავაზაკებითა, რომელნიც მუზერის რევოლვერებით არიან შეიარაღებულნი.—ამბობენ, ყაზახები იალუზე აწუხებენ იაპონელთა არიერგარდსაო.

**სეული.** (რეიტ. სააგ.). კორეის მთავრობამ ნამდვილად არ მიიჩნია 1896 წ. რუსთადმი მიცემული ტყის კონცესია იალუსა და ტუმენზე.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგენტო). იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა კუროკისა: «იალუსთან ბრძოლის დროს იაპონელთ 318 მოუკლეს, ამაში 5 აფიცერია, და დაუჭრეს 783, ამათგან 33 აფიცერია. იაპონელებმა დამარხეს 1.363 რუსის ჯარის კაცი, ტყვედ წაიყვანეს 613. წაიღეს 21 მსწრაფლ სასროლი იარაღი, 8 ტყვიის მფრქვევი, 63 ცხენი და კარავები.

**ბერლინი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღის გამო უმთავრესმა საზღვაო ინსპექტორმა, ადმირალმა კესტერმა გაუგზავნა მისს უდიდებულესობას, რომელიც ითვლება გერმანიის ფლოტის ადმირალად, მილოცვის დეპეშა. აფიცერთა საკრებულოში დიდი სადღესასწაულო სადილი გამართეს, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ რუსეთის ელჩი საელჩოს ამალით, ბევრი გენერლები და უმაღლესნი მოხელენი, იმპერატორს და დამსწრე პრინცებს რუსეთის პოლკების მუნდირები ეცვათ, სადილზე იმპერატორმა ვილჰელმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა.

**პარიჟი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს საელჩოს ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრო პრეზიდენტ ლუბეს წარმომადგენელი, გარეშე საქმეთა მინისტრი და ელჩები დანიისა, ბულგარიისა და საბერძნეთისა.

**პარიჟი.** მინისტრთა კრებას ბჭობა ჰქონდა პაპის პროტესტის გამო, რომელიც ლუბეს მოგზაურობამ გამოიწვია. ირწმუნებიან, კრებამ გადასწყვიტა, საფრანგეთის ელჩი გამოიწვიოს ვატიკანიდგან, თუ რომ წმ. ტახტი გამოაქვეყნებს პროტესტს. მაინც და მაინც გადაწყვეტით მაშინ დაადგენენ რასმე, როდესაც დამტკიცდება, რომ ვატიკანმა გამოცხადებული პროტესტი, საფრანგეთს გარდა, სხვა სახელმწიფოებსაც გაუგზავნა.

**სტამბოლი.** გოლუხოვსკის სიტყვამ ილდიზსა და პორტაზე დიდი შთაბეჭდილება იქონია.

**ბიანზე.** თიბეთელები ეხლა ინგლისის ექსპედიციის კვალს ეტანებიან და ფოსტასა სცარცვენ. ბრიტანელთა მზვერავ რაზმა მონასტერში კარგა გამაგრებული მტრის ჯარი აღმოაჩინა; მთის ფერდობებიც კარგა გაუმაგრებიათ თიბეთელებს. მზვერავ რაზმს სეტყვასავით დაუშინეს ტყვია, მაგრამ უვნებლად გაბრუნებულა.

**მუკდენი.** (რეიტ. სააგ.) იაპონელთა წინ წაწევას დაბრკოლება მიეცა, უფრო სამხრეთით. ოფიციალური ცნობებით იაპონელებმა დაჭერილ ადგილებსაც კი თავი დაანებეს. შეტაკება შესწყდა. 4 მაისიდან იაპონელნი გაიჩჟოუდანაც წავიდნენ.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგენტ.). იაპონელთ უჭირავთ ადგილები ჩიჩატონიდან ჩულიშანისაკენ; პატარ-პატარა ბორცვები დასცქერიან ამ ქალაქსა ცაზინჩჟოუს მხრიდან.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). როგორც ვეი-ხაი-ვეიდან იუწყებიან, ჩინეთის გემის კაპიტანს, რომელიც იქ მისულა, უთქვამს, იაპონიის ფლოტი კვირას პორტ-არტურს ყუმბარებს ესროდა, ამავე დროს იაპონელებმა ჯარიც გადასხეს და ეწადათ იერიში მიეტანათ ციხეზე ხმელეთიდან და ზღვიდანაო.—როგორც ნამდვილად იტყობინებიან ტოკიოდან, კონტრ-ადმირალი ნაშუდა დაღუპულა «ხატცუსზე», რომელიც საადმირალო გემი იყო; ადმირალი გამოცდილი აფიცერი იყო, ძალიან დიდად აფასებდნენო.—ვეიხაივეიდან იუწყებიან, ბრიტანიის საკანონერო ნავი «ესპიელ»-ი გამოვიდა ნიუ-ჩუანიდან, რომელიც იაპონელებმა დაიჭირეს გაიჩ-ჟოუდან მოსვლის შემდეგ.

**ჩიკაგო** («რეიტერის სააგ.»). ჩიფუდან დეპეშით იტყობინებიან, იაპონიის კრეისერმა «კასუგამ» გაშინჯა ავიზო «ფავანი», რომელიც დალნიდან მოსცურამდა ზღვაში. აფიცრები ამბობენ, რუსები ჩინურ ნავებს ხმარობენო ნაღმების ჩასახერგათ იქ, საითაც იაპონელთა ფლოტი მოდისო. იაპონიის ფლოტმა რამდენიმე ნავი დაღუპა და ერთიც საბუქსირო გემიო, რომლებიც ნაღმებს აწყობდნენო. რადგანაც არევ-დარევით ჩაჰყარეს ნაღმები, იაპონიის ფლოტი იძულებულია შორს დადგეს ნაპირიდან.—ზოგიერთი ნიშნებია, რომ იაპონელებმა პორტ-არტურს ახლო დიდძალი ნაღმი ჩახერგეს. ზღვისაგან წაღებული ნაღმები მრავლად დაცურავენ მთელს ყურეში.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგენტო). შანჰაიდან იუწყებიან, 10 ათასი რუსის ჯარია გაგზავნილი გაიჩჟოუს იმ აზრით, რომ იაპონიის ლაშქარი შეაჩეროს, მინამ რუსები ლიაოიანს გაამაგრებენო

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.). როგორც ცნობა მოვიდა, იაპონელებმა 3 მაისს გაიჩჟოუ, რომელიც ნიუ-ჩუანიდან 30 მილის მანძილზეა სამხრეთად, დაიჭირესო. რუსებმა უკან დაიწიესო.

**ტიანძინი.** (რეიტ. სააგენტო). გაიჯოუს დაჭერას წინ უძღოდა დიდი ომი.

**ლონდონი.** ტიანძინიდან იუწყებიან, რომ 70,000 რუსი მიდის პორტ-არტურის გამოსახსნელადაო, ამიტომ იაპონელნი ისწრაფიან იერიშის მიტანას. წინა ჯარები იაპონელთა 7 მილის სიშორეზედ სდგას რუსთა ბატარეებიდან. იაპონელნი სდგამენ ექვს დიუმიან საზღვაო ზარბაზნებს ფოლადის თვლებზედ და განზრახვა აქვთ ჩააჩუმონ რუსთა ბატარეები.

**ბერლინი.** «ნაციონალ ცეიტუნგის» ცნობით, ჯავშნიან გემის «ხატცუსეს» მეზღვაურთა რიცხვი იყო 741 კაცი, ხოლო, რადგან ნაღმოსნებმა გადაარჩინეს მარტო 300, დაიხრჩო 441. ჯავშნიანი კრეისერი «იოშიმო» ძალიან ძვირ-ფასი და ყველაზედ მსწრაფლ-მავალი იყო იაპონიის კრეისერთა შორის. საათში 23 საზღვაო მილის გავლა შეეძლო. მეზღვაურთა რიცხვი ამ კრეისერზედ იყო 383 კაცი, ხოლო რადგან გადაარჩინეს 90, დანარჩენი 295 კაცი დაიხრჩო. იაპონელებმა ერთს დღეს დაჰკარგეს 739 მეზღვაური.

**ლონდონი.** („რეიტერ. სააგენტო“). საზოგადოებათა პალატა. გრაფმა პერსიმ გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ, სთქვა, საჭიროდ არ იქმნა ცნობილი ოფიციალურად ეცნობოს ჩინეთის მთავრობას, რომ განზრახულია გალაშქრება ლხასს.

**ბერლინი.** გაემართა ჰამბურგს რაზმი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში უნდა წავიდეს. რაზმში 75 ოფიცერია და 500 ჯარის-კაცი.

—

**ხუთას-ხუთასი მანეთის მოგება ჰხვდა შემდეგს ბილეთებს.**

| №№ სერიის | №№ ბილეთის | №№ სერიის | №№ ბილეთის | №№ სერიის | №№ ბილეთის |
|---|---|---|---|---|---|
| 4,797 | 1 | 15,348 | 15 | 11,790 | 32 |
| 13,013 | 1 | 8,974 | 16 | 11,910 | 32 |
| 4,634 | 1 | 5,876 | 16 | 626 | 33 |
| 15,187 | 1 | 13,290 | 16 | 8,137 | 33 |
| 14,686 | 1 | 2,582 | 17 | 4.493 | 33 |
| 14,799 | 1 | 3,100 | 17 | 2,763 | 33 |
| 9,772 | 1 | 1,572 | 18 | 6,303 | 34 |
| 8,820 | 1 | 3,899 | 18 | 2,054 | 34 |
| 4,987 | 1 | 4,867 | 18 | 13,178 | 35 |
| 12,683 | 2 | 13,143 | 19 | 14,759 | 35 |
| 10,027 | 2 | 13,066 | 19 | 10,635 | 35 |
| 10,188 | 2 | 12,527 | 19 | 14,384 | 35 |
| 1,765 | 2 | 7,599 | 19 | 14,614 | 35 |
| 1,267 | 2 | 15,510 | 19 | 12,792 | 35 |
| 10,475 | 2 | 10,242 | 19 | 10,956 | 36 |
| 5,006 | 2 | 9,118 | 19 | 6,379 | 36 |
| 7,977 | 2 | 11,028 | 19 | 10,112 | 36 |
| 5,713 | 2 | 9,966 | 19 | 8,824 | 36 |
| 836 | 3 | 11,177 | 19 | 2,286 | 37 |
| 15,346 | 3 | 5,411 | 20 | 1,601 | 37 |
| 13,888 | 3 | 10,675 | 20 | 15,386 | 37 |
| 5,467 | 3 | 8,530 | 20 | 8,106 | 37 |
| 1,302 | 4 | 14,065 | 20 | 15,590 | 38 |
| 6,976 | 4 | 1-520 | 20 | 9,585 | 38 |
| 5,788 | 4 | 14,171 | 20 | 8,866 | 38 |
| 4,330 | 4 | 3,925 | 20 | 13,638 | 38 |
| 2,293 | 4 | 2,439 | 20 | 8,606 | 38 |
| 6,938 | 4 | 12,418 | 21 | 7,180 | 39 |
| 11,971 | 5 | 14,483 | 21 | 5,920 | 39 |
| 14,160 | 5 | 9,003 | 21 | 11,148 | 39 |
| 3,872 | 5 | 11,953 | 21 | 8,689 | 40 |
| 9,913 | 5 | 4,210 | 21 | 12,652 | 40 |
| 8,264 | 5 | 4,904 | 22 | 13,124 | 40 |
| 10,830 | 5 | 2,413 | 22 | 642 | 40 |
| 13,378 | 6 | 15,332 | 22 | 88 | 40 |
| 3,105 | 6 | 14,287 | 22 | 15,084 | 40 |
| 8,101 | 6 | 10,776 | 22 | 9,477 | 41 |
| 2,496 | 6 | 1,249 | 22 | 12,854 | 41 |
| 14,070 | 7 | 6,104 | 22 | 1,245 | 41 |
| 3,305 | 7 | 7,501 | 23 | 1,239 | 41 |
| 2,177 | 7 | 4,675 | 23 | 14,588 | 41 |
| 14,433 | 7 | 15,180 | 23 | 10,735 | 41 |
| 5,240 | 7 | 1,581 | 23 | 1,523 | 41 |
| 7,169 | 7 | 4,833 | 23 | 5,287 | 42 |
| 7,596 | 8 | 14,415 | 23 | 1,836 | 42 |
| 14.289 | 8 | 3,839 | 23 | 2,225 | 42 |
| 5,856 | 8 | 10,573 | 24 | 7,890 | 42 |
| 11,136 | 8 | 7,219 | 24 | 8,202 | 42 |
| 13,828 | 8 | 4,624 | 24 | 6,315 | 42 |
| 1,026 | 8 | 8,330 | 24 | 10,244 | 42 |
| 8,609 | 8 | 7,143 | 25 | 1,927 | 42 |
| 10,700 | 8 | 11,948 | 25 | 4,350 | 42 |
| 15,855 | 8 | 13,075 | 26 | 9.628 | 43 |
| 5,680 | 8 | 12,077 | 26 | 6,492 | 43 |
| 9,631 | 9 | 4,267 | 26 | 2,739 | 43 |
| 3,066 | 9 | 3.376 | 26 | 8,061 | 43 |
| 5,381 | 9 | 13,669 | 26 | 8,277 | 44 |
| 4,334 | 9 | 12,414 | 26 | 7,188 | 45 |
| 4,087 | 9 | 9,065 | 26 | 3,464 | 45 |
| 2.328 | 9 | 1,570 | 27 | 15,190 | 45 |
| 3,195 | 10 | 6,298 | 27 | 6,882 | 45 |
| 14,487 | 10 | 3,088 | 27 | 7,931 | 46 |
| 4,532 | 10 | 9,281 | 27 | 3,389 | 46 |
| 6.143 | 11 | 12,414 | 28 | 5,095 | 46 |
| 727 | 11 | 15,599 | 28 | 15,067 | 46 |
| 12,112 | 11 | 7,488 | 28 | 76 | 46 |
| 4,828 | 11 | 10,006 | 28 | 3,561 | 46 |
| 11,768 | 11 | 1,227 | 28 | 12,044 | 48 |
| 2,239 | 12 | 171 | 28 | 6,733 | 48 |
| 10,647 | 12 | 15,109 | 29 | 8,164 | 48 |
| 11,640 | 12 | 5,838 | 29 | 10,596 | 48 |
| 3,995 | 12 | 13,616 | 29 | 4,385 | 48 |
| 13,590 | 12 | 12,979 | 29 | 1,739 | 48 |
| 9,342 | 12 | 13,063 | 29 | 2,419 | 48 |
| 14,777 | 12 | 1,901 | 29 | 4,455 | 49 |
| 14,738 | 12 | 14,004 | 29 | 15,031 | 49 |
| 13.656 | 13 | 10,907 | 30 | 7,964 | 49 |
| 1.809 | 13 | 7,182 | 30 | 5,495 | 49 |
| 10,608 | 13 | 5,605 | 30 | 6,261 | 50 |
| 3,794 | 13 | 1,569 | 30 | 3,864 | 50 |
| 12,586 | 13 | 9,791 | 31 | 7,820 | 50 |
| 10,088 | 13 | 1,491 | 31 | 14,391 | 50 |
| 5,705 | 14 | 11,900 | 31 | 9,411 | 50 |

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

4 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,60 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | $37,67^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | $6—7^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $90^1/_2$ წვ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა . . . | $87^1/_2$ ნის. გაყ. |

| | |
|---|---|
| 5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 369 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | $297^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | 262 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | $90^5/_8$ წვ. გაყ. |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება «კოლხიდა»-სი დანიშნულია 30 მაისს, საღამოს 7 საათ., ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა.

2) მოხსენება: სარევიზიო კომისიისა 1903 წ. ანგარიშის გამო,

3) გამგეობისა ამხანაგობის აპერაციების შესახებ.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1904 წლისათვის.

5) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(1—6—1).

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

კასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.



ა მ ე რ ი კ ი ს

**ავტომობილები**

**ბენზინით მოძრავი**

**ველოსიპედები**

ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30.

(10—6—8).

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,

ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

